

შპს "ჯიპი მოტორს"
ს/კ 402127916

ფინანსური ანგარიშგება 2024-2023

განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია "ჯიპი მოტორს" (შემდგომში საწარმო) დაფუძნდა 2019 წლის 30 აპრილს. რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად მისამართზე ქ. თბილისი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა 6. რეგისტრაციის დღესვე მიენიჭა საგადასახადო კოდი 402127916. საწარმოს დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ მურმან ფანცულაია (01025014053) საწარმოს ძირითადი საქმიანობა მოიცავს: მსხვილი სამშენებლო ტექნიკის იმპორტს და ვაჭრობას, ასევე აღნიშნული ტექნიკის სათადარიგო და ცვეთადი ნაწილების იმპორტი და ვაჭრობა. საწარმოს დამატებითი საქმიანობა გახლავთ ტექნიკის შეკეთება / რემონტი მომსახურება

შპს "ჯიპი მოტორს" ის სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებულია საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მესამე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი (მსს ფასი). ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა "ონფო"-ს გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა და რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების მოხდენის დღეს დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით ფუნქციონალურ ვალუტაში. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით და პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, გადაანგარიშებულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის შესაბამისი სავალუტო ოფიციალური გაცვლითი კურსით. ვალუტის კონვერტირებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს:	2.8068	3.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს:	2.6894	2.9753

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის, საბანკო ნაშთებისა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს.

შემოსავალი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან (ვაჭრობიდან) მიღებული შემოსავალი

საწარმოს ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს მსხვილი, სამშენებლო ტექნიკის იმპორტს და რეალიზაციას, მომწოდებლები გახლავთ როგორც თურქული და ჩინური ასევე ევროპული ბაზრის წარმომადგენლები. გამომდინარე იქიდან რომ ტექნიკა ძვირადღირებულია, საწარმოს არ აქვს რესურსი იქონიოს მარაგი, შესაბამისად იმპორტი ხორციელდება შემსყიდველის წინასწარი დაკვეთის შედეგად, ავანსის მიღების შემდეგ. გარიგება შემსყიდველთან იდება მომწოდებლის პირობების შესაბამისად, ერთიანი ან ნაწილნაწილ გადახდით. მიწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება გარკვეული ხელშეკრულებაში გაწერილი პირობებით. ვალუტაში დადებული გარიგების შემთხვევაში ანგარიშსწორება ხორციელდება გადმორიცხვის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სათადარიგო / ცვეთადი ნაწილების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი

სამშენებლო ტექნიკის გარდა, საწარმო ეწევა სავაჭრო საქმიანობას სამშენებლო ტექნიკის სათადარიგო ნაწილებზე. ცვეთა/ამორტიზაციის შედეგად ტექნიკა საჭიროებს ცვეთად ნაწილებს, შესაბამისად ჩვენი საწარმო უზრუნველყოფს ცვეთადი ნაწილების როგორც მწარმოებლისგან ასევე დამპატენტებლისგან იმპორტს. საწარმოს გააჩნია რესურსი საწყობში იქონიოს მარაგები, თუმცა ხდება კონკრეტული ნაწილების შეკვეთაც შემსყიდველის მიერ.

სხვა სერვისები

როგორც მოგახსენეთ, სამშენებლო ტექნიკას ამორტიზაციის შედეგად ესაჭიროება ცვეთადი ნაწილების შეცვლა, შპს "ჯიპი მოტორს" მომხმარებლებს სთავაზობს არამართო ცვეთად ნაწილებს არამედ სურვილის შემთხვევაში შეკეთება / მომსახურებას.

მარაგები

მარაგები ფასდება მის ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ჩვეულებრივი ბიზნესის ოპერირების პირობებში არსებულ გასაყიდ ფასს გამოკლებული პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას.

შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევის თანავე აისახება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შემდრომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მუშა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე რა შესაძარის პერიოდში. შიშლიაია: აჯაჯი . შინობა ნააიბობა. მსუბუჟი აჯომობილიბი. აოჟორილიობა 3-10 წილი.

თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა სარგებელი წარმოადგენ ფიქსირებულ ხელფასს და დაზღვევას

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი დივიდენდების გადახდის შედეგად აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტური თარიღისა და პერიოდის დამოუკიდებლად.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისაგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31.12.2023	31.12.2024
ნაღდი ფული		76
ფული ბანკში	51076	95874
სულ:	51076	95950

დებიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები		
სულ:	54150	85311

კრედიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2024
დავალიანება საქონლის მოწოდებიდან / მომსახურების გაწევიდან	1683776	1516783
სულ:	154009	114927

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.2024
შრომის ანაზღაურება	36074
საოპერაციო ხარჯები	272454
ტრანსპორტირების ხარჯები	1427
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	150001
საბაჟო ხარჯი	6459
წარმომადგენლობითი ხარჯი	16090
ბანკის ხარჯი	7331
კომუნალური ხარჯი	3110
საწვავის ხარჯი	21663
დაზღვევის ხარჯი	9323
ცვთა და ამორტიზაცია	33965

სულ: 882097




ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2023
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	95,951	51,076
სავაჭრო მოთხოვნები	85,311	54,150
გადახდილი ავანსები	280	28,610
- სხვა მარაგი	1,324	304,363
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	1,112,243	672,795
სულ მიმდინარე აქტივები	1,295,109	1,110,994
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	152,934	31,045
მიწა	1,160,263	1,159,415
შენობა ნაგებობები	313,934	327,015
სხვა გრძელვადიანი აქტივები 2400 და რომლების 1 წელზე მეტი ხნისაა		
სულ აქტივები	2,922,240	2,628,469

ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	114,927	154,009
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		78
საგადასახადო ვალდებულებები დარიცხული გადასახდელი საბიუჯეტო	32,410	
სასესხო ვალდებულებები	1,633,480	1,729,025
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	1,780,817	1,883,112

საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	19,211	19,211
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი რაც დარჩა საწყის ნაშთს პლიუს შედეგი	1,122,212	726,146
გადაფასების რეზერვი		
სულ საკუთარი კაპიტალი	1,141,423	745,357
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,922,240	2,628,469

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2023
ნეტო ამონაგები	3,386,576	4,311,941
საქონლის გაყიდვიდან	2,897,772	3,910,998
მომსახურების გაწევიდან	488,804	400,943
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2,100,615	3,044,285
საერთო მოგება	1,285,961	1,267,656
დასაქმებულთა ანაზღაურება	360,274	264,924
ცვეთა და ამორტიზაცია	33,965	10,499
საპროცენტო ხარჯი :	112,321	26,964
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	394,800	516,561
სულ საოპერაციო ხარჯები	901,360	818,948
სხვა შემოსავალი	19,010	28
საპროცენტო შემოსავალი:	253	666
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	19,263	694
საოპერაციო მოგება	403,864	449,402
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	923	(45,584)
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	404,787	403,818
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	745,357	341,539
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(8,721)	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,141,423	745,357



ფულადი სახსრების მოძრაობა	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან	278417	-99025
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-26600	-1495318
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-207865	1622046
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	43952	27703
სავალუტო კურსის ეფექტი	923	-45584
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	51076	68957
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	95951	51076

